ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დადგენილება № 6-7

25 იანვარი

„___"________ 2022 წ

ქ. თბილისი

**"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: (www.matsne.gov.ge), 07/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016430) და დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $ო^1$) ქვეპუნქტი:

„$ო^1$) საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს უმრავლესობაში შემავალი საკრებულოს წევრის საკრებულოს ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანების შედეგად გამოწვეულ ცვლილებას. საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე.".

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

*პროექტი*

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № ...

2022 წლის ... იანვარი

ქ. თბილისი

**"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: (www.matsne.gov.ge), 07/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016430) და დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების **მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ო$^1$) ქვეპუნქტი:**

„ო$^1$) საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს უმრავლესობაში შემავალი საკრებულოს წევრის საკრებულოს ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანების შედეგად გამოწვეულ ცვლილებას. საკრებულოს ბიუროს რეგისტრაციაში გატარების მიზნით წარუდგენს საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე.".

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე